GCSD

Kingdom of the Netherlands

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ძირითადი ელემენტები



საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის ფილოსოფია გულისხმობს ისეთი ორგანიზაციული სტრატეგიების ხელშეწყობას, რომლებიც მხარს უჭერს საზოგადოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების (მაგალითად, დანაშაული, საზოგადოებრივი არეულობა და დანაშაულის მიმართ შიში) უშუალო განმაპირობებელ ფაქტორებთან პროაქტიურად გამკლავების მიზნით, პარტნიორობებისა და პრობლემის გადაჭრის მეთოდების სისტემატურ გამოყენებას.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური მოიცავს **სამ ძირითად კომპონენტს:**

საზოგადოებრივი პარტნიორობა

თანამშრომლობითი პარტნიორობა კანონის აღმასრულებელ უწყებას, ორგანიზაციებსა და მათში მომსახურე ინდივიდებს შორის, რომელიც მიზნად ისახავს პრობლემების მოგვარების გზების შემუშავებას და პოლიციისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

ორგანიზაციული გარდაქმნა

ორგანიზაციული მართვის, სტრუქტურის, პერსონალისა და საინფორმაციო სისტემების დაჯგუფება საზოგადოებრივი პარტნიორობებისა და პრობლემების პროაქტიური გადაწყვეტის ხელშესაწყობად.

პრობლემის გადაჭრა

გამოვლენილი პრობლემების პროაქტიურ და სისტემურ შესწავლაში ჩართულობის პროცესი ეფექტური რეაგირების შემუშავება-შეფასების მიზნით.



საზოგადოებრივი **პარტნიორობა**

თანამშრომლობითი პარტნიორობა კანონის აღმასრულებელ უწყებას, ორგანიზაციებსა და მათში მომსახურე ინდივიდებს შორის პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავებისა და პოლიციისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პოლიციას იშვიათად თუ შეუძლია საზოგადოებრივი უსაფრთხოების პრობლემების დამოუკიდებლად მოგვარება, ხელს უწყობს ინტერაქტიულ პარტნიორობას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. პოტენციური პარტნიორების დიაპაზონი დიდია და გამოყენება შეიძლება ორი ურთიერთდაკავშირებული მიზნის - პრობლემების მოგვარების თანამშრომლობითი მეთოდის საშუალებით პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავება და საზოგადოების ნდობის ამაღლება - მისაღწევად. საზოგადოებამ თავისი როლი უნდა შეასრულოს საჯარო უსაფრთხოების პრობლემების პრიორიტეტად დასახვასა და მოგვარებაში.

სხვა სამთავრობო უწყებები

კანონის აღმასრულებელი ორგანიზაციები, საზოგადოებრივი პრობლემების გამოვლენისა და ალტერნატიული გადაწყვეტის გზების მოსაძიებლად, შეიძლება თანამშრომლობდნენ რამდენიმე სხვა სამთავრობო უწყებასთან. ასეთი უწყებები, მაგალითად, მოიცავს საკანონმდებლო ორგანოებს, პროკურატურებს, პირობითი და ვადამდელი გათავისუფლებისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დეპარტამენტებს, მათთან დაკავშირებულ კანონის აღმასრულებელ უწყებებს, ჯანდაცვისა და ადამიანისთვის განკუთვნილ მომსახურებებს, ბავშვთა დახმარების სამსახურებს, კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის სამსახურებსა და სკოლებს.

საზოგადოების წევრები / ჯგუფები

ინდივიდები, რომლებიც ცხოვრობენ, მუშაობენ ან სხვაგვარად წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეებს კონკრეტულ საზოგადოებაში / თემში (მოხალისეები, აქტივისტები, საზოგადოების ოფიციალური და არაოფიციალური ლიდერები, მაცხოვრებლები, მნახველები ან ტურისტები საზოგადოების ინტერესების გამოვლენის თვალსაზრისით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. ამგვარმა საზოგადოებრივმა ჯგუფებმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს კონკრეტული მიზნების შესრულებაში საკრებულოს სხდომებში, სამეზობლო ასოციაციების შეკრებებსა და გუნდურ საპატრულო სამუშაოში მონაწილეობის, ასევე, ადგილობრივ დეცენტრალიზებულ ოფისებში / თავშეყრის ადგილებში შეხვედრის საშუალებით.

არაკომერციული ორგანიზაციები / მომსახურების მომწოდებლები

უფლებადამცველი და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებისთვის სხვადასხვა მომსახურებას უზრუნველყოფს და მის ინტერესებს იცავს, შეიძლება მეტად სასარგებლო პარტნიორი აღმოჩნდეს. ამგვარი ჯგუფები ხშირად მოიცავს საერთო ინტერესების მქონე ინდივიდებს (ან თანამშრომლობს მათთან), რომელთა შორისაც შეიძლება იყოს ისეთი ერთეულები, როგორებიცაა მსხვერპლთა ჯგუფები, მომსახურების კლუბები, მხარდამჭერი ჯგუფები, თემატური სოციალური ჯგუფები, უფლებადამცველთა ჯგუფები, საზოგადოებრივი განვითარების კორპორაციები და მორწმუნეთა თემები.

კერძო კომპანიები

კომერციული კომპანია, ასევე, საკმაოდ მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს საზოგადოების უსაფრთხოების თვალსაზრისით და შეიძლება მნიშვნელოვანი პარტნიორიც იყოს, რამდენადაც ხშირად უზრუნველყოფს უმნიშვნელოვანეს რესურსებს საერთო პრობლემების მოგვარების ხელშესაწყობად. კომპანიებს შეუძლიათ დახმარება პრობლემების გამოვლენა-განსაზღვრის პროცესში და რეაგირებისთვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფა, რაც ხშირად მოიცავს მათსავე უსაფრთხოების ტექნოლოგიებსა და საზოგადოებაზე წვდომას. ვაჭრობისა და ვიზიტორთა ცენტრების ადგილობრივ პალატას, ასევე, შეუძლია პოლიციის, ბიზნესპარტნიორობების, ინიციატივებისა და დანაშაულის არიდების პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში მხარდაჭერა.

მედია

მედია წარმოადგენს ძლიერ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საზოგადოებასთან კომუნიკაცია. მედია გვეხმარება საზოგადოების ინტერესებისა და პრობლემების გასაჯაროებასა და მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების მოძიებაში, მაგალითად, მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი მომსახურებების, საზოგადოებრივი უწყებების, ახალი კანონებისა თუ კოდექსების (რომლებიც უნდა განხორციელდეს) საშუალებით. ამას გარდა, მედიას შეუძლია ჰქონდეს მნიშნელოვანი გავლენა საზოგადოების დამოკიდებულებაზე პოლიციისადმი, დანაშაულის პრობლემებსა და დანაშაულის მიმართ შიშზე.

ორგანიზაციული გარდაქმნა

ორგანიზაციული მართვის, სტრუქტურის, პერსონალისა და საინფორმაციო სისტემების დაჯგუფება საზოგადოებრივი პარტნიორობებისა და პრობლემების პროაქტიური გადაწყვეტის მხარდასაჭერად

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის ფილოსოფია ფოკუსირდება დეპარტამენტების ორგანიზებისა და მართვის ფორმებზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლება ინფრასტრუქტურის შეცვლა იმ იდეების განხორციელების მხარდასაჭერად, რომელიც საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო მომსახურების საფუძველს წარმოადგენს. ეს [მიდგომა] ხელს უწყობს თანამედროვე მენეჯმენტის პრაქტიკის გამოყენებას ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. მთლიანი დეპარტამენტის მასშტაბით საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო მომსახურების შემოტანისა და მისი დანერგვა-განხორციელების პროცესში ყურადღება გამახვილებულია ორგანიზაციულ სტრუქტურაში ცვლილებების მნიშვნელობაზე, რაც, ასევე, მოიცავს მისი მართვისა და ორგანიზების ფორმებს, პერსონალსა და ტექნოლოგიებს.

უწყების მართვა

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის მოდელის ფარგლებში, პოლიციის ხელმძღვანელობა ნერგავს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის იდეალებს მთლიანი უწყების მასშტაბით - კლიმატსა და კულტურაში, ხელმძღვანელობაში, ოფიციალურ შრომით ურთიერთობებში, გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზებულ პროცესსა და ანგარიშვალდებულებით ურთიერთობებში, სტრატეგიულ დაგეგმარებაში, საპოლიციო მომსახურებებსა და პროცედურებში, ორგანიზაციულ შეფასებებსა და გამჭვირვალობის ზრდაში რამდენიმე კრიტიკული ცვლილების შეტანის საშუალებით.

კლიმატი და კულტურა

კლიმატისა და კულტურის შეცვლა ნიშნავს პროაქტიული კურსის ხელშეწყობას, რომელიც ითვალისწინებს პრობლემის მოგვარებისადმი სისტემურ მიდგომასა და პარტნიორობების მნიშვნელობას. ოფიციალურმა ორგანიზაციულმა ცვლილებებმა შესაძლებელი უნდა გახადოს უწყებებში არაოფიციალური ქსელებისა და კომუნიკაციის არსებობა ზემოხსენებული კურსის მხარდასაჭერად.

ხელმძღვანელობა

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის განხორციელების პროცესში, ლიდერი მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს რისკის გაწევისა და თანამშრომლობითი ურთიერთობების ფორმირების მხრივ. ლიდერი ამ მოცემულობას სხვებზე გავლენის მოხდენისა და მათი ცნობიერების ამაღლებისთვის იყენებს. მაშასადამე, ლიდერებმა მუდმივად უნდა გაუსვან ხაზი და განამტკიცონ საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის ხედვა, ფასეულობები და მისია ორგანიზაციაში, მხარი დაუჭირონ და უერთგულონ საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო მომსახურების პრინციპებს, როგორც საქმიანობის წარმართვის საუკეთესო მეთოდს.

შრომითი ურთიერთობები

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის ეფექტური მუშაობა მოითხოვს პოლიციის პროფკავშირების და ორგანიზებული შრომის მსგავსი უწყებების ჩართულობას საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ფილოსოფიის დანერგვის. უწყებაში მიმდინარე ცვლილებებში პროფესიული კავშირების ჩართვას შეუძლია უზრუნველყოს იმ ცვლილებების მხარდაჭერა, რომლებიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურისთვის განხორციელებისთვის.

გადაწყვეტილების მიღება

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური მხარს უჭერს დეცენტრალიზაციას როგორც განმკარგავ, ასევე, გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში. გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზებული მოდელი საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის წინა ხაზის ოფიცრებს საკუთარ საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღების საშუალებას აძლევს. როდესაც ოფიცერს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით და გასწიოს რისკი, საბოლოო ჯამში, იგი მეტად ანგარიშვალდებულია თავის გადაწყვეტილებებზე და უფრო დიდი პასუხისმგებლობაც ეკისრება საზოგადოების კეთილდღეობასთან მიმართებით. დეცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოიცავს უწყებაში იერარქიის შემცირებას, პრობლემის მოგვარების მცდელობისას რისკის გაწევისადმი ტოლერანტობის ზრდასა და ოფიცრების მიერ გამოძახებების მართვისას დისკრეციული უფლებით სარგებლობას. ამასთან, პრობლემის მოგვარების პროცესში სხვადასხვა რესურსის კოორდინირებისთვის სათანადო უფლებამოსილების მინიჭება და საზოგადოებასთან კავშირების ავტონომიურად ფორმირების უფლებით აღჭურვა ოფიცერს პრობლემების განსაზღვრასა და შესაძლო გადაწყვეტილებების შემუშავებაში დაეხმარება.

სტრატეგიული დაგეგმარება

დეპარტამენტს უნდა ჰქონდეს წერილობითი განაცხადი, რომელიც ასახავს დეპარტამენტის მასშტაბით საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურისადმი ერთგულებას და გეგმას, რომელიც არსებულ რესურსებსა და ექსპერტულ ცოდნას შეუსაბამებს ოპერატიულ საჭიროებებს. იმისთვის, რომ სტრატეგიული გეგმა რეალურად ღირებული იყოს, ორგანიზაციის წევრებმა იგი კარგად უნდა იცოდნენ და მათი ძალისხმევა გეგმასთან შესაბამისობის მაგალითი უნდა იყოს. სხვადასხვა კომპონენტი, როგორებიცაა ორგანიზაციის მისია და ფასეულობების განაცხადი, უნდა იყოს მარტივი და ყველასთვის ცხადი.

პოლიტიკა

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური გავლენას ახდენს დეპარტამენტის პოლიტიკისა და პროცედურების მიმდინარეობაზე და მათ შემუშავებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის პრინციპებისა და საქმიანობის გავლენა საველე სამუშაოების დროს. მაშასადამე, პრობლემის გადაჭრა და პარტნიორობა საზოგადოებასთან უნდა იქცეს უწყებაში დანერგილ პოლიტიკად, რიგ შესაბამის პროცედურებთან ერთად (საჭიროებისამებრ).

ორგანიზაციული შეფასებები

საპოლიციო სამუშაოსთვის ჩვეული ღონისძიებების გარდა (დაპატიმრებები, რეაგირების დრო, გაცემული ჯარიმები და დანაშაულის დონე), საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური გულისხმობს პოლიციის მუშაობის შედეგების შეფასების სისტემის გაფართოებას, რათა შესაძლებელი გახდეს ისეთი კომპონენტების ჩართვა, როგორებიცაა საზოგადოების კმაყოფილების ზრდა, დანაშაულის მიმართ შიშის შემცირება, პრობლემების შემსუბუქება და სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო მომსახურება მოითხოვს შეფასებისადმი უფრო დახვეწილ მიდგომას, რომელიც განიხილავს არა მხოლოდ შედეგების გაზომვის მეთოდებს, არამედ უკუკავშირით მიღებული ინფორმაციის გამოყენების ფორმებსაც.

გამჭვირვალობა

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო მომსახურება მოიცავს გადაწყვეტილების მიღების უფრო ღია პროცესებს, ვიდრე ტრადიციული საპოლიციო მომსახურება. თუ საზოგადოებას, როგორც პარტნიორს, მეტი როლი უნდა ჰქონდეს, დეპარტამენტს სჭირდება საზოგადოებისთვის დანაშაულსა და სოციალურ უწესრიგობასთან დაკავშირებულ პრობლემებისა და საპოლიციო ოპერაციების შესახებ რელევანტური ინფორმაციის დროული გაზიარების მექანიზმები.

ორგანიზაციული სტრუქტურა

მნიშვნელოვანია, რომ უწყების ორგანიზაციულმა სტრუქტურამ მიანიჭოს ადგილობრივ ოფიცრებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება და უზრუნველყოს მათი ანგარიშვალდებულება საკუთარ მოქმედებებზე. ეს შეიძლება მიღწეული იქნას გრძელვადიანი გადანაწილების, საქმიანობის ფართო სპექტრის მქონე ოფიცრების წვრთნისა და სპეციალური დანაყოფების შესაფერისად გამოყენებით.

ოფიცრების გეოგრაფიული გადანაწილება

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის მოდელი ითვალისწინებს სამეზობლოებსა თუ სამოქმედო ტერიტორიებზე ოფიცრების გრძელვადიან გადანაწილებას. გეოგრაფიული დისლოკაციის გეგმებმა შეიძლება ხელი შეუწყოს მომხმარებლის მომსახურების დახვეწას და პოლიციასა და მოქალაქეებს შორის კონტაქტის გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს ორმხრივ ანგარიშვალდებულებასა და ურთიერთობების გამყარებას. უბნის საზღვრები უნდა შეესაბამებოდეს სამეზობლოს საზღვრებს, ხოლო სხვა სამთავრობო მომსახურებებმა, ასევე, უნდა გაითვალისწინონ ეს საზღვრები სამთავრობო საჯარო მომსახურების აქტივობების კოორდინირების პროცესში.

დესპეციალიზაცია

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის მიზნების მისაღწევად, ოფიცრებს უნდა შეეძლოთ მრავალ პასუხისმგებლობასთან გამკლავება და გუნდური მიდგომის გამოყენება პრობლემის თანამშრომლობითი მოგვარებისა და საზოგადოებასთან პარტნიორობის ფორმირების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური დაინერგოს მთელი უწყების მასშტაბით და არა მხოლოდ სპეციალური დანაყოფების სახით, თუმცა შეიძლება გარკვეულ კონტექსტში არსებობდეს სპეციალიზებული დანაყოფების შექმნის საჭიროებაც, რომლებსაც დაევალებათ განსაკუთრებულად რთული პრობლემების გამოვლენა-მოგვარება ან კომპლექსური პარტნიორობების მართვა.

რესურსები და ფინანსები

უწყებებმა სათანადო ფინანსური და ადამიანური რესურსი უნდა დაუთმონ საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის მხარდაჭერას, რათა უზრუნველყოფილი იყოს პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებული ძალისხმევის ხარისხიანობა და პარტნიორობების მდგრადობა და ეფექტურობა.

პერსონალი

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური უნდა დაინერგოს უწყების მთლიან საკადრო სისტემაში, რაც მოიცავს კანონის განმახორციელებელი მთელი უწყების კადრების დაკომპლექტებას, დაქირავებას, შერჩევასა და შენარჩუნებას, დაწყებული ოფიცრებიდან (რომელთაც სახელმწიფოსა და კონსტიტუციის ერთგულების ფიცი დადეს), მოქალაქეებისა და მოხალისეების ჩათვლით. პერსონალის შეფასება, ზედამხედველობა და ტრენინგი უნდა შეესაბამებოდეს უწყებების საზოგადოებაზე ორიენტირებულ საპოლიციო სამსახურთან დაკავშირებულ ხედვებს.

დაკომპლექტება, დაქირავება და შერჩევა

შესაბამისმა უწყებებმა უნდა შეიმუშავონ დაკომპლექტების, შერჩევისა და დაქირავების პროცესებში საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის ელემენტების დანერგვის სისტემური საშუალება. სამუშაოს აღწერილობებში გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა და შესაბამისი პრობლემების გადაჭრის პასუხისმგებლობა; ასევე, ისეთი ოფიცრების შერჩევა უნდა მოხდეს, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ „თავგადასავლის სურვილი“ კი არ ამოძრავებთ, არამედ „სამუშაოსადმი ერთგულებით“ ხასიათდებიან. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის განმახორციელებელმა უწყებამ, ასევე, დეტალურად უნდა გამოიკვლიოს შემდეგი: სად ეძიებს ახალწვეულებს, ვინ აჰყავს სამსახურში, ვის ქირაობს და რას აფასებს. უწყებებმა, ასევე, ამ პროცესში კომპეტენციების გამოვლენა-განსაზღვრისა და შემფასებელ საბჭოებში მონაწილეობის საშუალებით, უნდა წაახალისონ საზოგადოების ჩართულობა.

პერსონალის ზედამხედველობა / შეფასება

ზედამხედველებმა უნდა დააკავშირონ შესრულების ხარისხის შეფასება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის პრინციპებთან და აქტივობებთან, რომლებიც შედის სამუშაოს აღწერილობებში. შესრულების ხარისხის, წახალისებისა და დაწინაურების შეფასების პროცედურებში უნდა იყოს გათვალისწინებული პრობლემის გონივრულად მოგვარების მცდელობა, პროაქტიური საპოლიციო მომსახურება, საზოგადოებასთან თანამშრომლობა და მოქალაქეების კმაყოფილება საპოლიციო მომსახურებებთან დაკავშირებით.

ტრენინგი

ტრენინგმა, ყველა დონეზე—იქნება ეს აკადემიაში ჩატარებული, საველე თუ სამუშაო ადგილზე განხორციელებული - უნდა განამყაროს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის პრინციპები და ტაქტიკა. მან, ასევე, ხელი უნდა შეუწყოს შემოქმედებით აზროვნებას, პროაქტიულ კურსს, კომუნიკაციას, ანალიტიკურ უნარებს, სიცოცხლის ხარისხსა და წესრიგის შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მეთოდებს. ოფიცრებმა უნდა აითვისონ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების და პრობლემების მოგვარების პროცესში საზოგადოების ჩართვის მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დანაშაულის განმაპირობებელი გარემოებების გამოვლენასა და გამოსწორებას. საველე ტრენინგის ოფიცრებმა და ზედამხედველებმა ჯერ თავად უნდა ისწავლონ, თუ როგორ წაახალისონ პრობლემის გადაჭრის მცდელობები და, შემდეგ, დაეხმარონ ოფიცრებსაც ისწავლონ პრობლემის მოგვარების სხვა შემთხვევების მაგალითზე. ორგანიზაციაში საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის დანერგვამდე, აუცილებელია რეგულარული ტრენინგი მის ფუნდამენტურ პრინციპებში.

საინფორმაციო სისტემები (ტექნოლოგია)

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური ინფორმაციულად დატვირთულია და ტექნოლოგია ცენტრალურ როლს თამაშობს ხარისხიან ინფორმაციაზე მყისიერი წვდომის უზრუნველყოფაში. ზუსტი და დროული ინფორმაცია პრობლემის გადაწყვეტის მცდელობებს უფრო ეფექტურს ხდის და უზრუნველყოფს, რომ ოფიცრები ინფორმირებულები იყვნენ თავიანთ უბნებში დანაშაულისა და საზოგადოების მდგომარეობის / პირობების შესახებ. ამას გარდა, ტექნოლოგიური გაუმჯობესება შეიძლება ძალიან დაეხმაროს ორმხრივი კომუნიკაციის გაუმჯობესებას მოქალაქეებთან; ასევე, უწყების ანგარიშვალდებულების სისტემების შემუშავებასა და შესრულების შედეგების გაზომვას.

კომუნიკაცია / წვდომა მონაცემებზე

ტექნოლოგია უწყებებს მნიშვნელოვან პლატფორმას აძლევს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გარე კომუნიკაცია საზოგადოებასთან და შიდა კომუნიკაცია საკუთარ პერსონალთან. საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიზნით, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური უწყებებს მოუწოდებს, ინტერნეტის საშუალებით შეიმუშაონ ორმხრივი საკომუნიკაციო სისტემები, რომლებიც ონლაინ ანგარიშებზე, სასწრაფო დახმარების მომსახურება - 911-სა და ელ-ფოსტის განგაშის სიგნალებზე, სადისკუსიო ფორუმებსა და ინტერაქტიულ აპლიკაციებზე (მაგ. გამოკითხვები ან რუკები) უკუკავშირის საშუალებას იძლევა, რითაც უზრუნველყოფს უწყვეტ დიალოგსა და გამჭვირვალობის ხარისხის ზრდას.

ტექნოლოგია ხელს უწყობს ეფექტურ შიდა კომუნიკაციას მემორანდუმების, ანგარიშების, საინფორმაციო ბიულეტენების, ელ-ფოსტისა და ინციდენტის შესახებ შეტყობინების გაუმჯობესებული სისტემის, დეპეშის ფუნქციებისა და სხვა ერთეულებთან კომუნიკაციების ინტეროპერატიულობის საშუალებით უფრო ეფექტიანი ოპერაციების უზრუნველსაყოფად. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური ასევე, ხელს უწყობს ტექნოლოგიის გამოყენებას ანგარიშვალდებულების და შესრულების დროული გაზომვის სისტემების შესამუშავებლად, რომლებიც მოიცავს ზუსტ მეტრიკასა და საზომებისა და მონაცემების ფართო დიაპაზონს.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური ხელს უწყობს ტექნოლოგიის გამოყენებას, რათა საპატრულო მანქანებში ლეპტოპის ტიპის კომპიუტერების ან პირად მონაცემთა მოწყობილობების საშუალებით უზრუნველყოს ოფიცრების შეუფერხებელი და დროული წვდომა მათ უბანში დანაშაულის დონისა და საზოგადოების მახასიათებლების შესახებ ინფორმაციაზე. ამას გარდა, ტექნოლოგიას შეუძლია დანაშაულის / პრობლემის ანალიზის ფუნქციების მხარდაჭერაც, რაც შესაძლებელს ხდის ანალიზის დახვეწას და უწყებებს საშუალებას აძლევს, მოაგროვონ უფრო დეტალური ინფორმაცია კანონდამრღვევების, მსხვერპლების, დანაშაულის ადგილების, სიცოცხლის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

მონაცემთა ხარისხი და სიზუსტე

ინფორმაციის ხარისხი დამოკიდებულია მისი წყაროს სანდოობაზე; შესაბამისად, ინფორმაცია გამოუსადეგარია, თუ ის საეჭვო ხარისხისა და სიზუსტისაა. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური მოუწოდებს უწყებებს, გაატარონ უსაფრთხოების ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის სიზუსტე მოწმდება, მონაცემები სისტემატურად გროვდება და ურთიერთდაკავშირებულ ცენტრალურ სისტემებში აისახება / იტვირთება მათი ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად სტრატეგიული დაგეგმარების, პრობლემის გადაწყვეტისა და შესრულების გაზომვისათვის.

პრობლემის გადაჭრა

იდენტიფიცირებული პრობლემების პროაქტიულ და სისტემურ შესწავლაში ჩართულობის პროცესი ეფექტური რეაგირების შემუშავებისა და შეფასების მიზნით

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური ხაზს უსვამს პროაქტიული პრობლემების მოგვარებისადმი სისტემურ და რუტინულ მიდგომას. ნაცვლად იმისა, რომ დანაშაულზე რეაგირება მხოლოდ მისი განხორციელების შემდგომ მოხდეს, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური უბიძგებს უწყებებს პროაქტიურად შეიმუშაონ გადაწყვეტილებები საჯარო უსაფრთხოების პრობლემების გამომწვევ უშუალო გარემოებებზე. პრობლემის მოგვარების მიდგომა უნდა დაინერგოს ყველა საპოლიციო ოპერაციაში და წარმოადგენდეს ყოველი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. უწყებებმა ინოვაციურად უნდა შეხედონ რეაგირების საკითხს და განიხილონ თავისუფლების აღკვეთა, როგორც მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტი პოტენციური რეაგირებების ფართო დიაპაზონიდან. ძირითადი კონცეპტუალური მექანიზმი, რომელიც ოფიცრებს პრობლემის მოგვარების სტრუქტურულად და დისციპლინარულად გააზრებაში დაეხმარება, არის SARA (სარშ - სკანირება, ანალიზი, რეაგირება და შეფასება) - პრობლემის მოგვარების მოდელი.



სკანირება: პრობლემების გამოვლენა და პრიორიტიზება

სკანირების ამოცანებია ძირითადი პრობლემის გამოვლენა, ამ პრობლემის ბუნების დადგენა, პრობლემის სერიოზულობის ხარისხის და სასტარტო ღონისძიებების განსაზღვრა. შერჩეულ პრობლემასთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების ამომწურავი ჩამონათვალი, როგორც წესი, განისაზღვრება სწორედ ამ ფაზაში. პრობლემა შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც ორი ან მეტი ინციდენტი, რომლებიც ერთი ან რამდენიმე თვალსაზრისით მსგავსია და მნიშვნელოვანია როგორც პოლიციისთვის, ისე საზოგადოებისთვის. პრობლემები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: საქციელის ტიპი, ადგილი, პიროვნება, პიროვნებები, განსაკუთრებული მოვლენა ან დრო, ან ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი კომბინაცია. პოლიციამ, საზოგადოებისგან მიღებული ინფორმაციის საშუალებით, უნდა გამოავლინოს და მოახდინოს პრობლემების პრიორიტიზება.

ანალიზი: პრობლემის შესახებ არსებული ინფორმაციის შესწავლა

ანალიზი პრობლემის მოგვარების პროცესის ცენტრალური ნაწილია. ანალიზის ამოცანებია პრობლემის დინამიკისა და არსებული რეაგირებების ზღვრების შესახებ ცოდნის უზრუნველყოფა, კორელაციის დადგენა და მიზეზისა და შედეგის გააზრების ხელშეწყობა. ანალიზის ფაზის ფარგლებში, მნიშვნელოვანია შევიტყოთ რაც შეიძლება მეტი დანაშაულებრივი სამკუთხედის თითოეული ასპექტის შესახებ შემდეგი კითხვების დასმით: ვინ, რა, სად, როდის, როგორ, რატომ და რატომ არა - მსხვერპლთან, დამნაშავესა და დანაშაულის ადგილთან დაკავშირებით.

რეაგირება: პრობლემების მასშტაბისა და რაოდენობის მდგრადი შემცირების გზების შემუშავება

სარშ-ის (SARA) მოდელის რეაგირების ფაზა მოიცავს გამოვლენილი პრობლემის მოგვარების მიზნით სტრატეგიების შემუშავება-განხორციელებას ისეთი სტრატეგიული რეაგირებების მოძიების საშუალებით, რომლებიც ფართომასშტაბიანი და შეუზღუდავია. რეაგირება ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს ანალიზის პროცესში ათვისებული ცოდნიდან და მიესადაგებოდეს კონკრეტულ პრობლემას. რეაგირების მიზნები შეიძლება სხვაობდეს, დაწყებული პრობლემის სრულიად აღმოფხვრიდან, მისი მნიშვნელოვნად შემცირების, პრობლემის მიერ მიყენებული ზარალის შემცირებისა და საზოგადოების ერთიანობის ხარისხის გაუმჯობესების ჩათვლით.

შეფასება: რეაგირების წარმატების შეფასება

შეფასების ძალისხმევა, რომლითაც განისაზღვრება რეაგირების სტრატეგიების წარმატებულობა პრობლემის შესუსტებისა და ამ შესუსტების პროცესში განხორციელებული რეაგირების წვლილის შესწავლის საშუალებით. ეს ინფორმაცია არა მხოლოდ ეხმარება მიმდინარე ძალისხმევას, არამედ, ასევე, უზრუნველყოფს მონაცემებს სამომავლო ცოდნის დაგროვებისთვის. სტრატეგიები და პროგრამები შეიძლება შეფასდეს პროცესების, მუშაობის შედეგების ან ორივეს დასადგენად.

თუ განხორციელებული რეაგირება ეფექტური არ იქნება, უნდა გადაიხედოს ანალიზის დროს შეგროვებული ინფორმაცია. შეიძლება საჭირო გახდეს ახალი ინფორმაციის შეგროვება ახალი გადაწყვეტილებების შემუშავებამდე და გამოცდამდე. მთლიანი პროცესი უნდა მოიაზრებოდეს, როგორც წრიული და არა სწორხაზოვანი, რაც ნიშნავს, რომ შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი სკანირება, ანალიზი ან რეაგირებები.

დანაშაულის სამკუთხედის გამოყენება უშუალო განმაპირობებელ გარემოებებზე ფოკუსირებისთვის (მსხვერპლი / დამნაშავე / კანონდამრღვევი / ადგილი)

პრობლემის შესწავლის თვალსაზრისით, ხშირად მიმართავენ ე.წ. დანაშაულის სამკუთხედს, რომელიც გამოიყენება მსხვერპლს, დამნაშავესა და ადგილს შორის კავშირების და იმ ფაქტორების ვიზუალიზაციისთვის, რომელთაც ამ სამკუთხედზე შესაძლოა ჰქონდეს გავლენა: მაგალითად, მსხვერპლის დამცველები (პირადი დაცვა / დაცვა, მასწავლებლები, მეზობლები), დამნაშავეების მეურვეები (მაგ., მშობლები, მეგობრები ან პრობაციის ოფიცრები), და კონკრეტული ადგილის მენეჯერები (მაგ., ბიზნესის ვაჭრები, პარკის თანამშრომლები ან მოტელის კლერკები). მხოლოდ პრობლემის ძირეულ მიზეზებთან გამკლავებაზე ფოკუსირების ნაცვლად, პოლიცია ფოკუსირდება იმ ფაქტორებზე, რომლებიც მათი უფლებამოსილების არეალში ექცევა: მაგალითად, კრიმინალური შესაძლებლობების შეზღუდვა და წვდომა მსხვერპლზე, დაცულობის გაზრდა და რისკის ასოცირება არასასურველ ქცევებთან.

ჯონ ი. ეკი, „პოლიციის პრობლემები: პრობლემების თეორიის სირთულე, კვლევა და შეფასება (John E. Eck, “Police Problems: The Complexity of Problem Theory, Research and Evaluation,”) წიგნში „პრობლემებზე ორიენტირებული საპოლიციო მომსახურება: ინოვაციიდან ძირითად ტენდენციებამდე. რედ. იოჰანეს კნუტსონი, დანაშაულის პრევენციის კვლევების მე-15 ტომი (Problem-Oriented Policing: From Innovation to Mainstream, ed. Johannes Knutsson, vol. 15 of Crime Prevention Studies (Monsey, NY: Criminal Justice Press, 2003), 79–114.

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ოფისის შესახებ

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის ოფისი (COPS ოფისი) წარმოადგენს აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ნაწილს, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის საქმიანობის განვითარება-დანერგვაზე (საინფორმაციო და საგრანტო რესურსების საშუალების გამოყენებით) ქვეყნის ცალკეული შტატების, ადგილობრივი, ტერიტორიული და ტომობრივი კანონის აღმასრულებელი უწყებების მიერ.

დანაშაულზე მხოლოდ მისი ჩადენის ან მოხდენის შემდგომ რეაგირების ნაცვლად, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური ყურადღებას ამახვილებს დანაშაულის პრევენციასა და დანაშაულის შედეგად გამოწვეული შიშის განცდის აღმოფხვრაზე. საზოგადოების ნდობის მოპოვება და ამ ინდივიდების დაინტერესებულ მხარეებად ქცევა მათივე უსაფრთხოების საკითხებში, კანონის განმახორციელებელს საშუალებას აძლევს უკეთ გაიაზროს და გაუმკლავდეს როგორც საზოგადოების საჭიროებებს, ასევე, დანაშაულის განმაპირობებელ ფაქტორებს.

COPS სამსახურის რესურსები, რომელებიც საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის თემების / საკითხების ფართო დიაპაზონს მოიცავს - დაწყებული სკოლებიდან და საერთო საცხოვრებლების უსაფრთხოებიდან ძალადობრივი დაჯგუფებების უკანონო საქმიანობის ჩათვლით - ხელმისაწვდომია უფასოდ, ონლაინ რესურსცენტრის საშუალებით შემდეგ მისამართზე: www.cops.usdoj.gov. ეს ადვილად გამოსაყენებელი ვებგვერდი, ასევე, გრანტის მოსაპოვებლად განაცხადის გაკეთების პორტალსაც წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას ონლაინ განაცხადის ფორმებზე.

*"პუბლიკაცია ითარგმნა საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის **(GCSD)** მიერ ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. მასში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს **GCSD**-ის ან საელჩოს პოზიციად. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი არ აგებს პასუხს თარგმანის ხარისხზე."*

Kingdom of the Netherlands

GCSD

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახური

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი